ახალი გურიალი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

2015 წელი

17 ოქტომბერი ...

შემოდგომა

31 ოქტომბერი - 12 ნოემბერი 2015 წელი №20 №8102 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგლოვებთ, ინვალვენ ჩვენ ოსტატებს, ხანგრძლივ ყვითელ ფრიალს, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეფერილობებელ მეცნიერებ ... გამოიწერეთ "ახალი გურიალი" და გახდით ჩვენი მკითხველი

თბილისიდან წლის შემდეგ
გვ2-7.

კასპობა - 2015
გვ2-7.

ბუნების მკვლევართა ინიციატივით და დახმარებით
გვ3.

ბუნების მკვლევართა ინიციატივით და დახმარებით
გვ3.

ITALIURI ფერმერული აგროტექნიკის საჩვენებელი დემონსტრაცია
გვ3.

წიგნის პრეზენტაცია
გვ3.

ლექცია-საუბარი "პროფესიული მუსიკა"
გვ5.

საქველმოქმედო აქცია
გვ4.

ჯეროვანი ყანტი
გვ6.

სპმთპ-მ წევრებისადმი მიცემული პირობა შეასრულა
გვ3.

ერთი ფოტოს ისტორია
გვ4.

ხეჭილეთ ხეზინის ბოლო ეტაპი
გვ5.

გამოგვიხმაურეთ! გამოგვიხმაურეთ! გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით ფართო მკითხველს გააცნოს საკუთარი სკოლის ისტორია და ანმყო,

2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მიღწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო გახადოთ თქვენი პრობლემები, დასახოთ სკოლის სასურველი სამომავლო გეგმები, ყველას გააცნოთ ღვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა პედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამაყობთ, რა გსურთ,..

გაანალიზეთ თანარეგიონელებს თქვენი კურსდამთავრებული მეცენატები, რომლებიც არ ივიწყებენ ალმა-მატერს. ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვატარებთ სკოლაში და გვინდა, რომ იქ გატარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმატებული, დაუვიწყარი. გამოგვეხმაურეთ!

თხუთმეტი წლის შემდეგ

თხუთმეტწლიანი პაუზის შემდეგ ჩვენს პატარა ქალაქში (კასპის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით, საინფორმაციო მხარდამჭერი "ახალი განთიადი") კვლავ გაიმართა სახალხო დღესასწაული "კასპობა-2015," რა თქმა უნდა, მსგავსი ხალხმრავალი დღესასწაული ადრეც ჩატარებულა კასპში, მაგრამ როგორც თვითმხილველები და ღონისძიების ორგანიზატორები იხსენებენ, ახლანდელი "კასპობა" მასშტაბურობითა და სანახაობრივი თვალსაზრისით გამორჩეული იყო...

17 ოქტომბერს, დილაადრიან კასპის ცენტრში მოიყარა თავი მთელმა რაიონმა. დიახ, აქ, სააკაძის სკვერთან წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციული ერთეული. მოწნული მოხდენილი ფაცხებით დამშვენებული ტიპიური ქართლური ეზოები თავს იწონებდნენ შემოდგომის ნობათით, ნაირ-ნაირი ხილითა თუ ათასგვარი ნუგბარით დახუნძლული სუფრებით. განა მარტო სოფლების მშრომელები, კასპობის დღესასწაულზე განახლებული პროდუქციით ხელდამშვენებული მოვიდნენ სააქციო საზოგადოება "კასპიელექტროაპარატი," "ნატურალპროდუქტთა კომპანია," შპს "ჰაიდელბერგცემენტი", შპს "ქართული პროდუქტი," "ახალშენი - 2005," შპს "თი-ემ-თი," ს.ს. "მაკლიკჰოლდინგი," შპს "მეტეხის კერამიკა," შპს "ჯორჯიან პლასტიკი" და სხვა...

თეატრალიზებული მსვლელობა, იმპროვიზებული წარმოდგენა, საზეიმო კონცერტი დღის პირველ საათზე დაიწყო, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა სპორტული ღონისძიებები /ჭიდაობა, კარატე, ფეხბურთი, ჭადრაკი/. სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილზე გამოფენილ ბანერებთან, რომელზედაც ასახული იყო მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო ორ-სამ წელიწადში ჩატარებული ინფრასტრუქტურის სამუშაოები, სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ მოსწავლეები და ახალგაზრდები, კასპობის სტუმრები. ენით აუწერელი სიხარული, საზეიმო განწყობა სუფევდა კულტურის სახლის წინ განთავსებული სასრიალო ბატუტის სიახლოვეს, აქ მარტო პატარები კი არ ერთობოდნენ, ბავშვების შემხედვარე, უფროსებმაც გვარიანად იჯერეს გული და კარგადაც გახალისდნენ, მოკლედ, იყო ძალიან სასიამოვნო განწყობა, თურმე, როგორ მონატრებიათ აქაურებს ერთმანეთის მონახულება, იგრძნობოდა ამაღლებული განწყობა, ნახავდით დიდ-პატარის მხიარულ და მომღიმარ სახეებს...

– უძველესი ისტორიის მქონე კასპის რაიონი თავისი საამაყო წარსულით, საბრძოლო დიდებით, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების სახელმოხვეჭილი ადამიანებით განთქმული რეგიონი მართლაც რომ იმსახურებს დიდ პატივსა და დაფასებას, – აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, – ამიტომ ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ დღევანდელი სახალხო დღესასწაული "კასპობა-2015" სწორედ რომ ამის კიდევ ერთი აღიარება და თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ, დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ ეს დღესასწაული უფრო საინტერესო, მრავლისმომცველი და მასშტაბური გახდება, გაძლიერდება, დამკვიდრდება, მეტიც, ყოველწლიური გახდება.

სახალხო დღესასწაულის "კასპობა-2015" მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ გალა-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფები, მომღერლები, მოცეკვავეები და სპეციალურად თბილისიდან ზეიმზე მოპატიჟებული ოპერისა და ესტრადის ცნობილი სახეები, მათ შორის თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მომღერლები, კასპის მკვიდრი ტარიელ ჭიჭინაძე და ჩვენი თანარაიონ-

*დასასრული გვ7.

წიგნის პრეზენტაცია

საინტერესო, ემოციურად დატვირთული შეხვედრა გაიმართა გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც შეიკრიბნენ განათლების, კულტურის, ხელოვნების მუშაკები, მოწვეული სტუმრები, მოსწავლეები და ახალგაზრდები... მოეწყო მწერალ ბონდო არველაძის ახლახან გამოცემული წიგნის "მწერლის ბედისწერა"– განხილვა.

წიგნში შესულია გასული საუკუნის 30-იან წლებში რეპრესირებული ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის დაკითხვის ოქმები ანუ ეგრეთ წოდებული "ძიების მასალები"...

დამსწრე საზოგადოებასა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი. საინტერესო იყო თავად წიგნის ავტორის, მწერალ ბონდო არველაძის გამოსვლა, სადაც მან დაწვრილებით ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა "მწერლის ბედისწერა". პრობლემების, ხელისშემშლელი გარემოებების მიუხედავად მაინც დაიბეჭდა ეს წიგნი.

წიგნის მნიშვნელობასა და მის ლიტერატურულ-მხატვრულ ღირებულებაზე გაამახვილეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში პოეტმა და კრიტიკოსმა იკა ქადაგიძემ, წიგნის რედაქტორმა ვანო ჯახუამ.

შეხვედრის დასასრულს სიტყვით გამოვიდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა ავტორს ჩვენი თანამემამულის გიორგი შატბერაშვილის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი დეტალების აღდგენა-წარმოჩენისათვის.

პრეზენტაციის ბოლოს ბატონმა ბონდო არველაძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს წიგნის გამოცემაში აღმოჩენილი დახმარებისათვის, მხარდაჭერისა და საინტერესო შეხვედრისათვის.

მუზეუმების გაერთიანება.

ბუნების მკვლევართა ინიციატივით და დახმარებით

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქისი"-ს ინიციატივითა და დახმარებით კასპის მუნიციპალიტეტში გამწვანების აქცია ჩატარდა.

ორქისმა კასპის მუნიციპალიტეტს ფიჭვის, კედარის, კვიპაროსის და ნუშის ნერგები გადასცა. ნერგები ქალაქის სკვერებსა და №3 საჯარო სკოლაში დაირგა, ასევე ეკლესიებზე გადანაწილდა. ნუშის ხეები სოციალურად დაუცველ ადამიანებსაც გადაეცათ.

კასპის მუნიციპალიტეტი და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი მესამე წელია თანამშრომლობს. დასუფთავების აქციებში ორქისი მაისურებით, ხელთათმანებითა და ტომრებით სისტემატურად ეხმარება. აქციის მონაწილეებს "ორქისი"-ს წარმომადგენლებმა წიგნები, ბუკლეტები და კალმები გადასცეს. აქციის დასასრულს კი ცივი სასმელებითა და ტკბილეულით გაუმასპინძლდნენ. კასპის მუნიციპალტეტის გამგეობამ მადლობა გადაუხადა საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირ "ორქის"-ს გამწვანების და დასუფთავების აქციების ჩატარებაში დახმარებისათვის.

სპმთპ-მ წევრებისადმი მიცემული პირობა შეასრულა

2014 წლის სექტემბერში საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის საარჩევნო კონფერენციაზე კიდევ ერთხელ არჩეულმა თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა კონფერენციის დელეგატებსა და მოწვეულ სტუმრებს პირობა მისცა, რომ პროფკავშირული მუშაობა მიზნობრივად და საინტერესოდ წარიმართებოდა. მათ მიერ გადახდილი საწევრო შენატანი ბოლო ლარამდე მათვე დაუბრუნდებოდათ კულტურული თუ სხვა ღონისძიებების ორგანიზებისას.

დაპირების შესრულება კონფერენციის მეორე დღიდანვე დაიწყო. რა გაკეთდა, როგორ მიმდინარეობს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის სადაგი დღეები, გვესაუბრება ორგანიზაციის თავმჯდომარე გიული სოზიაშვილი.

პერმანენტულად დავეხმარეთ სოციალურად დაუცველებს, ეკონომიურად გაჭირვებულებს და მათ ანგარიშზე ჩავრიცხეთ ერთდროული ფულადი დახმარებები, აქტიურ პროფკავშირელებზე გადავრიცხეთ გარკვეული ფულადი პრემიები. სპმთპ-ს თითოეულ წევრზე საშობაოდ და სააღდგომოდ გაიცა საჩუქრები. სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა გადასამზადებლად ჩატარდა ხუთი ტრენინგი, როგორც საბავშვო ბაღების გამგეების, ასევე ყველა ასაკობრივი ჯგუფის აღმზრდელების, მეთოდისტებისა და ფსიქოლოგებისათვის. განსაკუთრებული სიხარული და კმაყოფილება გამოიწვია კულტურულ-მასობრივმა ღონისძიებებმა, დაპირებულმა ექსკურსიებმა. ზაფხულის შვებულებების პერიოდში ჩატარდა 7 ექსკურსია; კერძოდ, კასპის პირველი, იგოეთის, ოკმის, ფერმის საჯარო სკოლებისათვის, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრისა და სახელოვნებო სკოლისათვის და გაერთიანებული ნაწილი საბავშვო ბაღებისათვის. ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო 160 წევრზე მეტმა. საექსკურსიო მარშრუტები თვითონ წევრების მიერ იყო არჩეული, მოიარეს თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები: ქვემო ქართლი, წალკა-ფოკა-ნინოწმინდა, ახალქალაქი, ასპინძა, რაბათი, ზარზმა, ბორჯომი, მწვანე მონასტერი, ჩარგალი, ანანური, ბაზალეთის ტბა, სიღნაღი, ბოდბე. ამჯერად მიმდინარეობს ექსკურსიები სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლებისათვის.

წინ მრავალი შეხვედრაა, ჯერჯერობით დაგეგმილია უახლოეს ხანში ტრენინგები იმ პედაგოგებისათვის, რომლებიც ემზადებიან სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის. მათ ვპირდებით ხელშეწყობას უფასო გადამზადებაში უმაღლესი დონის საგანმანათლებლო ცენტრში.

იტალიური ფერმერული აგროტექნიკის საჩვენებელი დემონსტრაცია

სოფელ ხოვლეში ფერმერ კახა ბიჭიკაშვილის სადემონსტრაციო ნაკვეთში გაიმართა იტალიური ფერმერული აგროტექნიკის საჩვენებელი დემონსტრაცია. წარმოდგენილი იყო სათბურის ნიმუში, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეები, კარტოფილის სათესი და ამოსაღები, ბოსტნეულის სათესი, ჩითილის სარგავი, ბალახის საკუწი, საფრეზი, ცელოფანის დასაჭიმი, ყურძნის საწური, ხილის დასაქუცმაცებელი აგრეგატები და სხვა. საჩვენებელი აგროტექნიკის დემონსტრაციის მიზანია, სურვილის შემთხვევაში მოსახლეობას დაეხმაროს მის შეძენაში. ეს კი ხელს შეუწყობს სასოფლო სამეურნეო პროცესების თანამედროვე ტექნიკით დამუშავებას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას და უკეთესი შედეგების მიღებას.

აგროტექნიკის დემონსტრაციას დაინტერესებულ პირებთან ერთად ესწრებოდნენ farmitalia-ს წარმომადგენლები, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს "მექანიზატორი"-ს ხელმძღვანელები, შიდა ქართლის მხარის გუბერნატორის მოადგილე ამირან შავშიშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი და მისი მოადგილე თეიმურაზ ხიზანაშვილი.

დალი კორკოლაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ბინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
ბინდათ, გაიგოთ ეთისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?
გამოიწერეთ "ახალი გზნიერი" და გაიგოთ ჩვენი მკითხველი!

გიორგი ნიპარიშვილი იუბილარია

გიორგი ნიპარიშვილი განეკუთვნება მეოცე საუკუნის 60-იანი წლების კასპელ სახელოვან მოჭიდავეთა პლეადას: არის ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში (1961-62 წლები), სამბოში (1962), სტუდენტთა თამაშების გამარჯვებული, 1961-71 წლებში – სპორტსაზოგადოება "კოლმეურნის" უცვლელი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, უკრაინისა (1967) და ბულგარეთის (1971) საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი, სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების 8-გზის მეორე და ერთგზის მესამე პრიზიორი... მისი საჭიდაო-სპორტული კარიერიდან გავიხსენებთ ერთი შეჯიბრების ქრონიკას. მაშ, ასე: ეს მოხდა რუსეთის ქ. ვორონეჟში, ზუსტად 50 წლის წინ, 1965 წელს:

საგანგებო ინტერესით თვალს თუ გადავავლებთ მეოცე საუკუნის 60-იანი წლების სპორტულ ქრონიკებს, ვნახავთ, რომ თავისუფალი სტილის ქართველი მოჭიდავეები მთელი საბჭოეთის მასშტაბით დომინირებდნენ. ასე იყო სპორტსაზოგადოებათა შორისაც.

კერძოდ, საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება "კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ნაკრები სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა პირველობების გამარჯვებულის ტიტულს ფლობდა 1963 და 1964 წლებში და, ზედიზედ მესამედ, 1965 წელსაც გაჩემპიონდა.

ისეთ შემთხვევაში, როცა რაიმე ფაქტის გასამაგება ხდება, ქართველი კაცი ამბობს: – ღმერთის ხსენება სამობით არის! დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვორონეჟში, სადაც ქართველებმა მესამედ იპირველეს, მარად უბერებელი ხალხური ფრაზა გაახსენდათ თუ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადია – ესოდენ წარმატებაში განგების ნება ნამდვილად ერია! არსებითი, გადამწყვეტი როლი კი თვითონ ჩვენებურ ვაჟკაცთა შემართებამ, მონდომებამ, ერთიან გუნდად შემაკავშირებელმა მათმა სულისკვეთებამ ითამაშა. ოღონდ, ნურავინ იფიქრებს, ქართველებს მესამე წელსაც თუკი ვერავინ, უპირველესად, ვერც რუსებმა, ვერ სძლიეს, მაშ, იოლად გაუსეირნიათ და ეგაო! არა, რუსეთის ფედერაციის "უროჟაის" მუჟიკები და მათი მწვრთნელები კავკასიელ ულვაშებიანებთან მარცხს, სულაც საკუთარ შინაში, ადვილად როდი ეგუებოდნენ... ნუ დავივიწყებთ, რომ ქართველთა ძალა "რუსულ აღმართს" ხშირად და კარგად ხნავდა...

ვორონეჟულ საჭიდაო არენაზე, იმჟამად საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ილია ჩხარტიშვილის, შეგირდებმა 8 წონითი კატეგორიიდან 7-ში მოიპოვეს საპრიზო ადგილები: ჩემპიონები გახდნენ: ნოდარ ხოხაშვილი, ანდრო ცხოვრებოვი და ოთარ კანდელაკი, მეორე პრიზიორები – ფირუზ ხარაიშვილი, გიორგი ნიპარიშვილი და ნოდარ ძიმისტარაშვილი, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა გოდერძი ფასურაშვილმა.

თითოეული მათგანის გვარი სათანადოდ ცნობილია ჩვენში, მაგალითად, ოთარ კანდელაკი ვაჟიშვილი გახლდათ უცნობილესი მოჭიდავისა და პიროვნებისა – სანდრო კანდელაკისა. ნოდარ ხოხაშვილი უკვე იმჟამად ფლობდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების (1964 წ.) პრიზიორის ტიტულს და, საყოველთაო მოლოდინისამებრ, ვინმე თავისზე წინ არც ვორონეჟში გაუშვა, შემტევ სტილში იჭიდავა და შვიდივე მეტოქე წმინდად დაამარცხა, თუმცა კი მისთვის უჩვეულო წონაში (მსუბუქში) მოუხდა გამოსვლა. მის შესახებ აღარას ვიტყვით, გარდა ერთი ინფორმაციისა, რაც ჭიდაობის ლეხურისპირელ მოყვარულებს დააინტერესებს: ნოდარ ხოხაშვილი წარმოშობით კასპის რაიონის სოფელ რენედან არის!

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში (როგორც ზემოთ ვთქვით) იყო მეორე კასპელი მოჭიდავეც – 19 წლის გიორგი ნიპარიშვილი.

იმავე პირველობაზე ისიც ახლოს იყო გამარჯვებასთან და მჩატე წონაში მონაწილეთა მიერ დაგროვებული საერთო ქულების მხოლოდ სკრუპულოზური დათვლით მიაკუთვნეს მე-2 ადგილი. დიახ, ტურნირი 6-6 საჯარიმო ქულით დაასრულეს ქართველმა მოჭიდავემ და მისმა ორმა მეტოქემ, უკრაინელმა ჩავდარმა და რუსმა ჩეტკარიოვმა. სამივეს ამიტომ დაუთვალეს ქულები, მოწინააღმდეგეებისათვის რომ აერთმიათ, და აქ მცირე უპირატესობა უკრაინელს აღმოაჩნდა, რამაც ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტა კიდეც.

ბატონი გიორგი ნიპარიშვილი იუბილარი გახლავთ. 2015 წლის პირველ ნოემბერს მას 70 წლისთავი შეუსრულდება.

სურათზე: საქართველოს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება "კოლმეურნის" ნაკრები გუნდი (1965 წ.) (მარცხნიდან მარჯვნივ): დგანან – ნოდარ ხოხაშვილი, გოდერძი ფასურაშვილი, ბიჭიკო მარიდაშვილი, ილია ჩხარტიშვილი (მწვრთნელი), გიორგი ნიპარიშვილი, ფირუზ ხარაიშვილი; წინა პლანზე – ნოდარ ძიმისტარაშვილი, ოთარ კანდელაკი, ანდრო ცხოვრებოვი. (გრიგოლ ჯულუხიძის ფოტო).

გავეცნოთ სამშობლოს ისტორიას

გაზეთ "ახალი განთიადის" 2015 წლის მე-11 ნომერში დაიბეჭდა სტატია "ისტორიული ფაქტების კვალდაკვალ", რომელშიც მითითებულია, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელია ჩვენი სამშობლოს ისტორიის ცოდნა და წარსულის გახსენება.

წერილში ნათქვამია: "სამშობლოს ისტორიის ურთულესი და საკვანძო მომენტების ხშირი გახსენება ხელს შეუწყობს პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბება-გაძლიერებას. ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნის შვილებისათვის".

ეს ამონარიდი, ხსენებული წერილიდან მომყავს იმიტომ, რომ რისი შეთავაზებაც მე მსურს, სწორედ ამ მიზანს – სამშობლოსადმი სიყვარულის გაღვივებასა და პატრიოტიზმს ეხება.

ს.ს. "კასპიელექტროაპარატის" ორ დიდ დარბაზში გამოფენილია მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილისა და უშანგი მოსიაშვილის 85 ნახატი. ეს ფერწერული ტილოები ასახავენ საქართველოს ისტორიას, გამოჩენილ ადამიანთა თავდადებას, თავგანწირვას, უდიდეს სიყვარულს სამშობლოსადმი. ნახატებში შესანიშნავად არის გადმოცემული თევდორე მღვდლის, ცოტნე დადიანის, გიორგი სააკაძისა და სხვათა გმირული მოქმედება და საბრძოლო ეპიზოდები.

ვფიქრობ, დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის კარგი იქნებოდა ისტორიული ჟანრის მხატვრული ტილოების გაცნობა-გამოყენება.

ამ თვალსაზრისით, კარგი იქნება, გამოიცეს ალბომი, სადაც შეტანილი იქნება აღნიშნული ნახატები, სკოლებში კი, კერძოდ, ისტორიის კაბინეტებში, მოეწყოს კუთხე ნახატების ფერადი რეპროდუქციებით. ასეთი თვალსაჩინოების გამოყენებით მოსწავლეები უფრო ღრმად, შინაარსიანად და ხატოვნად შეისწავლიან მასწავლებლის მიერ ახსნილ გაკვეთილს საქართველოს ისტორიის შესახებ.

იმედია, ამ წერილში დასმული საკითხით დაინტერესდებიან კომპეტენტური პირები, სათანადო დაწესებულებები და გამოიცემა ალექსანდრე ციხელაშვილისა და უშანგი მოსიაშვილის ნამუშევრების ალბომი. იქნებ სკოლებშიც ცალკე კუთხე დაეთმოს აღნიშნულ ნამუშევრებს, რაც ჩემი აზრით ხელს შეუწყობს ისტორიული მასალის აღქმა-გააზრებას. სამშობლოს ისტორიის პატივისცემა და სიყვარული ნამდვილ მამულიშვილებად გაზრდის მომავალ თაობას.

ეთერ კონიაშვილი.

საქველმოქმედო აქცია

არასამთავრობო ორგანიზაცია "ერა"-მ და "ევროპის მედიკოსთა ასოციაცია"-მ საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართა.

აქციის მიზანი იყო დახმარებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ, სოციალურად დაუცველ 6 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს: გიორგი ჭალისურს, თორნიკე თაგვიაშვილს, ბექა ბაინდურაშვილს, ლუკა კოტიაშვილს, მათე ქოქაევსა და ლევან შარიფაშვილს.

აქციის ფარგლებშივე მოეწყო სამედიცინო პუნქტი, სადაც მსურველებს უფასოდ შეეძლოთ სამედიცინო კვლევის ჩატარება.

მუკმიკა – წელიწადის ძეხყოთ ლმო ელოდება თქვენ ვამოხმაყოფას. ამოჩძანდით ოდაქციაძი, ვაგვაცანით თქვენი ნაძყვეტი (ხაოამოადგინეთ ელეფონყი ვონია) და ვააცანით ინი ნაზოვადოვას.

საჭიდაო სეზონის ბოლო აყოლა

წლევანდელი საზაფხულო საჭიდაო სეზონი, ფაქტიურად, დამთავრდა. შემოდგომის გრილი დღეების გამო გაძნელდა ღია არენებზე შეჯიბრებების მოწყობა. კავთისხევში 11 ოქტომბრისათვის ჭიდაობა რომ დანიშნეს, რაიონის ჭიდაობის მესვეურებიც, მწვრთნელებიცა და სოფლის აქტივისტებიც წინასწარ ორ რამეს შიშობდნენ – უამინდობასა და მაყურებელთა სიმცირეს... არა, ამინდმა ნამდვილად გაამართლა და მზიანმა დღემ ჭაბუკები უფრო გაახალისა პაექრობაში. აი, გულშემატკივარი ამჯერადაც მცირე შეიკრიბა კავთისხევში, ვალერიან იაშვილის სახელობის საჭიდაო არენაზე (ეს პრობლემა მარტო აქ კი არა, ყველა სოფელშია და მეტ განზოგადებას საჭიროებს...).

ჰამლეტ წიკლაურს, ყოფილ მოჭიდავესა და ამჟამად მწვრთნელს, სხვა პირადი საფიქრალიც გასჩენოდა: სასოფლო გუნდი სრულად ვერ შეკრიბა. შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულს სხვა საკითხები ისედაც მიეძალა და... საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ მასპინძელი ჭაბუკები სულაც ვერ მოხვდნენ გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის.

ვინც თავი გამოიჩინა და იყოჩაღა რაიონის ჭაბუკთა პირველობაზე, რომელიც ბოლო აკორდი იყო ღია არენებზე წელს ჩატარებული ასპარეზობებისა, იყვნენ, უპირველესად, მტკვრის მარჯვენა მხარის სოფლების – მეტეხის, ზემო ხანდაკის, დოესის, თელიანის ჭაბუკი მოჭიდავენი: პაატა მალაციძე, ბექა აზმაიფარაშვილი, ვალერი შაქარაშვილი, ნიკა ხუციშვილი, გიორგი პაპინაშვილი, მიშიკო ქამხაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, ხვიჩა დავითაშვილი, გიორგი ხუციშვილი, კუკური გორგაძე, ჯონი სამხარაძე, ირაკლი დემეტრაშვილი, ბილო თაბუაშვილი, ოთარ გაბინაშვილი, ნიკა ბოგველი, ზაზა ჯანანაშვილი, ომარ ბერიაშვილი, ნიკა თაბუაშვილი... ფინალში სწრაფი გამარჯვებით გამოირჩა ლამისყანელი შოთა ფავლენიშვილი... მძიმე წონაში პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ სპარტაკ გულიაშვილი (სასირეთი) და მალხაზ ამირეზაშვილი (ზემო ხანდაკი).

ნიშანდობლივია, რომ შვიდივე წონით კატეგორიაში გამარჯვებულებს გადაეცათ (მედლების გარდა) კავთისხეველი აწგარდაცვლილი სახელოვანი მოჭიდავეების სახელობითი პრიზები.

ჭიდაობა: ქართველი „ჩიხისნების„ წარმატება

საქართველოს მსგავსად, ბევრ ქვეყანაში ცდილობენ ჭიდაობის ეროვნული სახეობების პოპულარიზაციას, საერთაშორისო ყურადღების მიქცევას. ქართველების დარად სწორედ საჭიდაო ჩოხებით ასპარეზობენ, უმეტესად, აზიის ქვეყნებში.

ამას წინათ ქართველმა მოჭიდავეებმა ყაზახეთიდან მიიღეს მიპატიჟება, სადაც დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა და 15 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოსინჯეს საკუთარი შესაძლებლობანი ყაზახურ "კურაშში" (გუნდურ ჩათვლაში).

საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობა ასეთი იყო: იოსებ ცერცვაძე, გიორგი ქალდანი, კახა მამულაშვილი, ზაურ გაგნიძე, პაატა ღვინიაშვილი, გიორგი კობერიძე და ბექა ბერძენიშვილი.

ჩვენმა მოჭიდავეებმა წილისყრის წყალობით პირველი წრე გამოტოვეს, მეორეში კი მონღოლეთის ძლიერ გუნდს შეხვდნენ და დაამარცხეს, მესამეში უპირატესობა უზბეკებს დარჩათ... ამის გამო მე-3 ადგილისათვის შეხვედრა მოუხდათ რუსეთის ნაკრებთან და შეიძლება ითქვას, რომ პრინციპულ მეტოქეს იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვეს, ამაზე მეტყველებს "მშრალი" ანგარიში – 6:0.

ყაზახური ტურნირი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა მოიგეს (ფინალში უზბეკები დაჯაბნეს), აბსოლუტური პირველობაც თვითონ გაითამაშეს და სერიოზული პრიზიც არგუნეს გამარჯვებულს, ანუ, საშინაო პრესტიჟული შეჯიბრება სხვათათვის შეგნებულად ხელშეუხებელი დაიტოვეს. ისე კი, უნდა ითქვას, გუნდური გათამაშების პრიზიორები გულუხვად დააფასეს.

ამდენად, კასპელმა მოჭიდავეებმაც – კახა მამულაშვილმა და ბექა ბერძენიშვილმა – წვლილი დაიდეს საერთო წარმატებაში.

ფეხბურთი: სეშინსი გამარჯვება 3-ბურთიანი სხვაობით

კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის ჭაბუკთა გუნდმა "განთიადი - 1999"-მა მეოთხე ტურის მატჩი სოფელ სამთავისის მოედანზე ჩაატარა ქ. რუსთავის "ოლიმპთან". მასპინძლებმა "სწრაფი გოლი" გაიტანეს (ნიკა ბურდული) და პირველ ტაიმში უპირატესობა უფრო გაზარდეს (თორნიკე თაგვიაშვილი და გიორგი უნგიაძე). მეორე ტაიმი გარდამავალი თამაშით წარიმართა და მეტოქეებმა თითოთითო გოლი გაცვალეს (კასპელთაგან დუბლი შეასრულა თაგვიაშვილმა) და მატჩში, საბოლოოდ, "განთიადმა" 3-ბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა – 4:1.

ა. კალანდაძე.

ვისაუბროთ თქვენთვის საინტერესო თემებზე

გასულ ნლიდან მოყოლებული სულ ვეწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სნორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სწალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იწით ვიდრე შარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუწილებლად უნდა გამოინეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"! მაშ ასე, მოშრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

ლექცია-საუბარი "პროფესიული მუსიკა"

იუნესკოს გადაწყვეტილებით ყოველი წლის პირველ ოქტომბერს აღინიშნება მუსიკის საერთაშორისო დღე. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით კასპის ბიბლიოთეკამ სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩაატარა ლექციასაუბარი "პროფესიული მუსიკა".

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის და განათლების მუშაკები, პროფესიონალი მუსიკოსები, ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეები, მოწვეული სტუმრები.

ქართული კლასიკური მუსიკის კორიფეებზე საინტერესოდ ისაუბრა კასპის ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ქალაქის კულტურის ცენტრის დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ქართულ ხალხურ მუსიკაზე. კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტის ეკა ყაზარაშვილის სასაუბრო თემა გახლდათ "ქართული საგალობლები". მან თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ქართული საგალობლების შექმნის საუკუნეების წინანდელ ისტორიაზე და აღნიშნა, რომ არსებობს ქართული საგალობლების უნიკალური მემკვიდრეობა და ამ ეროვნული სიმდიდრეების შემქმნელები არიან ქვემოჭალელი ძმები კარბელაშვილები, რომლებმაც გააგრძელეს მიქელ მოდრეკილის დაწყებული საქმე და ქართულ საგალობლებში დაიმკვიდრეს საკუთარი გვარის სკოლა...

თემების (განსაკუთრებით საგალობლების) განხილვა იმდენად საინტერესოდ წარიმართა, რომ აქ მთელი აუდიტორია ჩაერთო, მოკლედ განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა და პროფესიონალებთან ერთად აქტიურობდნენ მოსწავლეებიც, უბრალოდ მუსიკის მოყვარულები...

ერთი სიტყვით, მუსიკის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტის ლამაზი დასასრული კი ის იყო, რომ დარბაზის პატარა სცენა დაიკავეს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან არსებულმა კასპის სალოტბარო სკოლის აღსაზრდელებმა: ზაზა და ქეთევან გეჯაძეებმა, ნინო და მარიამ ტყემალაძეებმა, ხატია მამულაშვილმა, ანა კაპანაძემ, ნატალია ოდიშვილმა, მიხეილ ბაზუაშვილმა და ეთერ შაქარაშვილმა, რომლებმაც შეასრულეს ქართული ფოლკლორის ნიმუშები: " მე რეგვენმა პატარძალმა" და " იმავ მთაზედა".

კასპის ბიბლიოთეკა.

„ახალი გვნთიავლი„ იძიებს ყაინტერესებლ ოჯახებიანს ყველა ოჯახ-მეცხოვრეობის შეყვანილოვლ. თანოვნით მივმართავთ ყველა მეცხოვრეობ - ოჯახოვნ ოჯახ-მეცხოვრეობის შეყვანილ ოჯახ-ბიზნესიანს ოჯახ-ბიზნესიანს ოჯახ-ბიზნესიანს

ქალაქი კასპი

რედაქცია მადლობას უხდის გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს მოწოდებული მასალისათვის.



ქალაქი კასპი კასპის მუნიციპალიტეტის ცენტრია. მდებარეობს ლეხურის ხეობაში, იქ, სადაც მდინარე კვეთს კვერნაქის ქედს და გამოდის ვაკეზე. ქალაქი ძირითადად გორაკ-ბორცვებზეა გაშენებული, ზღვის დონიდან 560 მ-ზეა, თბილისიდან დაშორებულია 48 კმ-ით.

მკვლევართა ერთი ნაწილი ქალაქის სახელწოდებას უკავშირებს იბერიულ-კავკასიური ჯგუფის ერთ-ერთ უძველეს მომთაბარე ტომს-კასპიებს, რომლებიც კასპიის ზღვის მიდამოებში ბინადრობდნენ. სწორედ მათ გამო დაერქვა გურგანის ზღვას კასპიის ზღვა და აზერბაიჯანის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს-კასპიანას ეს სახელი. კასპიების ნაკვალევი შემორჩა კავკასიის სხვა ტოპონიმებშიც. ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი იხსენიებს "კასპიის მთას", რომელიც მდებარეობს კოლხიდასა და კასპიის ზღვას შორის, ხოლო ტაციტუსი და ფლავიუსი დარიალის ხეობას უწოდებენ "კასპიის ჭიშკარს". კასპიები იხსენიებიან ძვ.წ.აღ. V საუკუნეში, შემდეგ შეერივნენ მიდიელებს, ალბანელებს და სხვა ტომებს. არის ვარაუდი, რომ მომთაბარე კასპიების ერთი ჯგუფი დასავლეთისაკენ დაიძრა და დაბინავდა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრების მახლობლად. შესაძლოა მათ დღევანდელი კასპის მიდამოებამდეც მოაღწიეს, შეერივნენ ძირძველ მოსახლეობას და განიცადეს ასიმილაცია, მათი სახელი კი ტოპონიმებად შემოგვრჩა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია და მოკლებულია მეცნიერულად დასაბუთებულ მტკიცებულებებს.

ისტორიკოს ნ. ბერძენიშვილის აზრით "კასპის თავდაპირველი ფუძე შეიძლება იყო "ასპი", რომელიც უკავშირდება "ასპინძასაც". მათ ერთი ფუძე აქვთ. "ასპი" ძველსპარსული სიტყვაა და ნიშნავს სადგურს, საგზაო პუნქტს, ქარვასლას, ადამიანის გასაჩერებელ და დასასვენებელ ადგილს. შესაძლებელია "კასპი" ასპინძის მსგავსად იმიტომ დაექვა, რომ აქ იყო მოსულების, სტუმრების გასაჩერებელი ადგილი, სასტუმრო, რასაც ქალაქის გეოგრაფიული მდებარეობაც შეუწყობდა ხელს. შესაძლოა, ამასვე ადასტურებს ძველი ტოპონიმი "სააქლემო ჭალა", რომელიც მდებარეობს მტკვრის პირას, მთავარანგელოზის ეკლესიის სამხრეთით, როგორც ჩანს ეს ტოპონიმი შორეული წარსულიდან მოდის , როცა კასპზე საქარავნო გზა გადიოდა და შესაძლებელია ამ ადგილას ქარვასლაც მდებარეობდა.

ქალაქის ტოპონიმები: ბათქაშას წყარო, გზირიაანთ წყარო, გორდიაანთ წყარო, დურუაანთ წყარო, ლეხურა, მარიამწმინდას წყარო, მოსეს წყარო, სოლხოზის წყარო, შიოს წყარო, ჯაყას წყარო, ახტალა, გერების უბანი, ანასეული, ანეულები, დიდგორა, დათვის ნაქერალი, ვარჯაანი, ვარდისუბანი, ზემო ჭალა, თავგანიერი, თეთრადხევი, კოწახურა, კასპის გორა, მლაშეები, მოდამოდაანთ ვენახი, ნაზვრევი, ნაბაღვარი, ნამგალა გორა, ნაცარგორა, ნატბეურა, ნამგალეები, პალარი, სააქლემო ჭალა, სოლხოზი, ურწყავი, ფშანები, ფშატის მიწა, ქეჩარუხი, ქარწისი, ღარები, შილხანაანთ ვენახი, შიმშილა, წერტი, წითლობი, ხვავია გორა, ნიშის მიწა და სხვა.

ბუნების ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენდა კასპის მუხა (გორდიაანთ მუხა) რომელიც ლეხურის მარცხენა სანაპიროზე, გრიშაშვილის ქუჩაზე იდგა. ადრე მას საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა, მის ძირში იდგა ქვის ნიში, სადაც სანთლებს ანთებდნენ. დიდმუხა 600 წლისა იყო. გარშემოწერილობა 6 მეტრს უდრიდა, სიმაღლე 31 მეტრს. დიდმუხა რამდენიმე წელია დაიწვა, შემორჩენილია მისი ძირი.

არქეოლოგიური ძეგლები:

კასპის სამაროვანი.

მდებარეობს ლეხურის მარჯვენა სანაპიროზე, რკინიგზის ხაზის ჩრდილოეთით. მიეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს, ადრე რკინის ხანას, თარიღდება ძვ.წ.აღ. XV -XIII სს. გათხრილია ქვაყრილიანი ქვაყუთები. სამარხებში აღმოჩენილია ჩარხზე დამზადებული კერამიკა, ბრინჯაოს და რკინის იარაღ-საჭურველი და სამკაული. ძეგლი გათხრილია 1962-63 წწ არქეოლოგიური ექსპედიციის კასპის რაზმის მიერ (ხელ-ლი მალხაზ ბარამიძე).

კასპის გორა. მდებარეობს ქალაქის ცენტრში. ძეგლი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს, ადრე რკინისა და განვითარებული ფეოდალური ხანით. აღმოჩენილია ნაგებობების ნაშთები, კერამიკის ფრაგმენტები.

ნამოსახლარი ნაცარგორა. მდებარეობს ქეჩარუხზე, კვთისხევისკენ მიმავალი გზის პირას. თარიღდება ადრინდელი რკინის ხანით. კულტურული ფენები განადგურებულია. გვხვდება შავად და ნაცრისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ნამოსახლარები-ნამგალაგორა და ხვავიაგორა. მდებარეობენ კოწახურას ხევის დასავლეთით. ორივე ნამოსახლარი თარიღდება ადრინდელი რკინის ხანით. მოიპოვება შავად გამომწვარი, ჭდეულორნამენტიანი კერამიკის ფრაგმენტები.

ნაქალაქარი კასპი და სამაროვანი. მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან დასავლეთით, ფართობი 60 ჰა. უბანი თარიღდება ძვ.წ.აღ. III-IV სს-ით.

სამაროვანი. მდებარეობს მიკრორაიონში. თარიღდება ძვ.წ.აღ. XIII-XII სს-ით. ქვაყრილ სამარხებში აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი და სარდიონის მძივები.

აკლდამები. მდებარეობს ქალაქის დასავლეთით ერთ კილომეტრზე. წარმოადგენს 10-15 მ სიმაღლის კირქვის კონცხებში გამოკვეთილ გამოქვაბულთა ცალკეულ ჯგუფებს. სრულად შემორჩენილია 4 აკლდამა. ისინი მიწის ზედაპირიდან 3-5 მ-ითაა შემაღლებული. აკლდამები თარიღდება გვიანი ანტიკური ხანით და აგრეთვე IV-VI სს.

არქიტექტორული ძეგლები:

კლდემაღალას ციხე.

უწოდებენ აგრეთვე არსენას ციხეს. თარიღდება V-VI სს-ით, ადრე ფეოდალური ხანით. ციხე კეტავდა ლეხურის ხეობით მომავალ გზას და იცავდა ციხე ქალაქ კასპს მტრის შემოსევებისაგან. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია ოთხსართულიანი კოშკის ორი კედელი, რომელთა სისქე ორ მეტრს უდრის. სათოფურების კვალი მხოლოდ მეოთხე სართულზე შეიმჩნევა. ციხის მიდამოებში გამოვლენილია კლდეში ნაკვეთი უნიკალური ეკლესია, რომელიც წინასწარი ვარაუდით VIII-IX სს-ისა უნდა იყოს, კედლის მხატვრობა კი XIII-XIV სს განეკუთვნება. ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა. ციხისა და ეკლესიის მიდამოებში შეიმჩნევა სამონასტრო ცხოვრების კვალი.

წმინდა თევდორეს ეკლესიის კომპლექსი თარიღდება XVII ს-ით, რასაც მოწმობს შეისრული თაღი. გარდა ამისა, ეკლესიის სამხრეთის მინაშენს ჰქონდა დაშენება, რომელიც მთავრდებოდა სათვალთვალო კოშკით. ასეთი სტილიც XVII ს-ის არქიტექტურისთვის არის დამახასიათებელი. საძირკველს ზემოთ ერთი მეტრის სიმაღლეზე ტაძარს ემჩნევა ძველი კვალი, რომელიც X ს განეკუთვნება. ეს ნიშნავს, რომ ამ ადგილზე იყო ადრე ტაძარი, რომელიც დაინგრა და XVII ს-ში საძირკველს დააშენეს ზემოდან იმ სახით, როგორითაც ჩვენამდე მოაღწია. ძეგლის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია გვირაბის ნაშთი, რომელიც ლეხურაზე ჩადიოდა. აქ ორი გვირაბი ყოფილა. ერთი ადრეული , რომლის დაზიანების შემდეგ, უკვე გვიანდელ ფეოდალურ ხანაში მეორე

გაუკეთებიათ. ეკლესიას აქვს გალავანი, რომლის სიგრძეა 17,55 მ, სიმაღლე 5,3 მ. გალავანში ორრიგად დატანებულია რვა წყვილი სათოფური. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დგას ცილინდრული კოშკი. შეიმჩნევა სამი სართულის ნაშთი. ძეგლი რესტავრირებულია და მოქმედი.

მაცხოვრის ეკლესია. თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით. დარბაზულია (7,95X5 მ-ზე), ნაგებია მოყვითალო ფერის ნატეხი ქვით. ძეგლი რესტავრირებულია, აღადგინეს კასპის მცხოვრებლებმა საკუთარი ხარჯით.

ღვთისმშობლის ეკლესია (შუბნიშნის ეკლესია). თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით. დარბაზულია (6,5X5 მ-ზე), ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვის დიდი კვადრებით. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია.

ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია პირველი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე მდებარეობს. თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით. დარბაზულია (6,5X5 მ-ზე). ნაგებია რუხი ფერის დამუშავებული ქვით.

კვირაცხოვლის ეკლესია. თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით. დარბაზულია (16,65X7,3 მ-ზე). ნაგებია რუხი ფერის დამუშავებული ქვით. ძეგლი ძლიერ დაზიანებულია.

მთავარანგელოზის ეკლესია. მდებარეობს ქალაქის დასავლეთით. თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით. დარბაზულია (10,7X5 მ-ზე). ნაგებია რუხი ფერის ნატეხი ქვით. გამოყენებულია შირიმის ქვაც. ინტერიერი შელესილია, შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები. ეკლესიას სამხრეთიდან მიშენებული აქვს ოთხსართულიანი კოშკი. პირველი სართული სამლოცველო იყო, ორი საცხოვრებელი, მეოთხე სართული კი საბრძოლო ბანს წარმოადგენდა. ძეგლის მიდამოებში მდებარეობდა ძველი ნასოფლარი-მთავარანგელოზი.

თეთრადხევის მამების მონასტერი. თარიღდება გვიანი ფეოდალური ხანით. აქ ადრე მამათა მონასტერი ყოფილა თავისი კომპლექსით. ეკლესია დარბაზულია (11,2X6,5მ-ზე) ნაგებია ნატეხი ქვით, კამარა და აფსიდის კონქიაგურით. გადახურული ყოფილა ღარიანი და ბრტყელი კრამიტით. ინტერიერი შელესილი ყოფილა, უკეთაა შემორჩენილი დასავლეთის ფასადი.

*** გაგრძელება მომდევნო ნომერში.**

თხუთმეტი წლის შემდეგ

დასასრული

ელის, ყველასათვის ცნობილი თენგიზ ზაალიშვილის ვაჟი, ზაზა ზაალიშვილი. ზაზა სიდამონიძემ შეასრულა განუმეორებელი "ურმული," მუნიციპალიტეტთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ "მოურავ-"თან ერთად /ლოტბარი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ბახტაძე/; თეატრალიზებული გამოსვლით წარსდგა მაყურებლის წინაშე ზემო ხანდაკის მკვიდრი, რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ეკა ქვრივიშვილი. გამორჩეული აპლოდისმენტები დაიმსახურა კასპის კულტურის ცენტრის დირექტორის ზაზა მენაბდიშვილის გამოსვლამ.

კასპობის დღესასწაულს სტუმრობდა შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი, მისი მოადგილეები ამირან შავშიშვილი და დავით ჯოლბორდი. სტუმრებმა გამგებელთან ერთად საგულდაგულოდ დაათვალიერეს ქალაქის აღდგენილი და განახლებული ინფრასტრუქტურა, გაეცნენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს, დღის ბოლოს კი დაესწრნენ გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი ექსპოზიციის პრეზენტაციას. შიდა ქართლის რწმუნებულ-გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი გაესაუბრა მუზეუმის კოლექტივს, მხარდაჭერა, თანამშრომლობა აღუთქვა და წარმატებები უსურვა.

სწორედ კასპობის დღესასწაულზე მოეწყო 2015 წელს კურსდამთავრებული საჯარო სკოლებისა და გიმნაზიის წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. კასპის რესურსცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რუსუდან მიგრიაულმა სცენაზე იხმო ამჯერად უკვე სტუდენტები, ოქროს, ვერცხლის მედალოსნები, 100 პროცენტიანი გრანტის მფლობელები. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა სიგელები გადასცა მარიამ ნონიაშვილს და რუსუდან მუკნიაშვილს (პირველი სკოლა, 100 პროცენტიანი გრანტი), სოფიო მექანარიშვილს (პირველი სკოლა, ვერცხლის მედალოსანი), მარიამ გოჩიტაშვილს (გიმნაზია, ვერცხლის მედალოსანი, 100 პროცენტიანი გრანტი), ფლორენსია კაშხჩიანს (გიმნაზია, 100 პროცენტიანი გრანტი), მარიამ ხარატიშვილს (გიმნაზია, 100 პროცენტიანი გრანტი), ლაშა მერებაშვილს (გიმნაზია, 100 პროცენტიანი გრანტი), ეთერ ბეგლარაშვილს, რუსუდან ბეგლარაშვილს, ნინო თაბუაშვილს (დოესი, ოქროს მედალოსნები), გიორგი ხეჩიკაშვილს (დოესი, ოქროს მედალოსანი), სოფიო ჯავახიშვილს (ხოვლე, ოქროს მედალოსანი).

დღესასწაულს ესწრებოდა სამთავისი-კასპის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დამიანე /ყუფუნია/, რომელმაც გულითადად დალოცა მრევლი, მოსახლეობა...

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს: კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით ონოფრიშვილმა, პოეტმა ვაჟა ოთარაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა რობერტ კავთიაშვილმა...

სახალხო ზეიმი გვიან საღამომდე გაგრძელდა, ისმოდა ნაცნობი მელოდიები, როგორც ყოველთვის, ელექტრონულ მუსიკას ვერ ელეოდნენ ახალგაზრდები.

რ. ქართელიშვილი.





გილოცავთ!

დაბადებიდან 45 წლის იუბილეს და კასპში მოღვაწეობის 15 წელს ვულოცავთ კასპის ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის დეკანოზს გიორგი ხოჯავას.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მხნეობას, დღეგრძელობას თქვენს ოჯახთან ერთად.

მადლობა უფალს იმისთვის, რომ ასეთი თავმდაბალი, თბილი, მოსიყვარულე, მზრუნველი და მადლიანი მოძღვარი გვარგუნა.

ღმერთმა არ მოაკლოს სიხარული, სიყვარული, ბედნიერება, ხვავი და ბარაქა თქვენს ოჯახს.

გისურვებთ მრევლის სიმრავლეს!

სიყვარულითა და პატივისცემით თქვენი მრევლი.

,,ახალი განთიადი,, იძლევა საინფორმაციო ფურცლებით ინფორმაციას ადგილობრივ ფოტო-მასალის შეგროვებლად. თხოვნით მივმართავთ თანხარჩენილებს - ოფოთვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ საინფორმაციო ფოტოები!

ქალაქის ბიბლიოთეკაში

კასპის ა(ა)იპ ბიბლიოთეკას, ქალაქის მეორე საჯარო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი - თამარ გურგენიძე ესტუმრნენ.

მოსწავლეებმა ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი, სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილება, სააბონემენტო და წიგნის დამუშავების ოთახები დაათვალიერეს. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა მოსწავლეებს ბიბლიოთეკის მუშაობის სპეციფიკა გააცნეს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲠᲐᲘᲡᲐᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲝ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲔᲞᲐᲘᲗᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

2015 წლის 5 ნოემბერს დღის 12 საათზე რაიკოოპერატივის ადმინისტრაციის შენობაში, ქ. კასპი, კოსტავას ქ. №2, ტარდება რაიკოოპერატივის მეპაიეთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. კასპის რაისამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის და სარევიზიო კომისიის ანგარიში საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ;

2. გამგეობის დადგენილებების დამტკიცება, რომლებიც წესდების შესაბამისად საჭიროებს კრების მიერ დამტკიცებას;

3. რაიკოოპერატივის მართვისა და კონტროლის ორგანოების (გამგეობა, გამგეობის თავმჯდომარე, სარევიზიო კომისია) არჩევნები;

4. განცხადებების განხილვა.

მეპაიეთა დასწრება სავალდებულოა.

კასპის რაიკოოპერატივის გამგეობა.

გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,,!

სასურველი სტუმარი

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალამაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

Ш.Ѳ.Ს. "ᲰᲐᲘᲓᲔᲚᲑᲔᲠᲒᲪᲔᲛᲔᲜᲢᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ" ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲔᲑᲡ

Ш.Ѳ.Ს. "ᲰᲐᲘᲓᲔᲚᲑᲔᲠᲒᲪᲔᲛᲔᲜᲢᲯᲝᲠᲯᲘᲐᲡ" ᲙᲐᲡᲞᲘᲡ ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲕᲐᲙᲐᲜᲡᲘᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲔᲑᲖᲔ:

1. ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘ (ᲙᲐᲕᲗᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲥᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘ);

2. ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲠᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ (ᲙᲐᲕᲗᲘᲡᲮᲔᲕᲘᲡ ᲙᲘᲠᲘᲥᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲘ).

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ჩეზიუმე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 6 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:

ქ. კასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

შეგიძლიათ, მოგვანოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აზრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲛᲖᲘᲐ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენ დაგვტოვე, წახვედი და დაგვიტოვე სამუდამო ტკივილი...

ჩემო მზია, ჩემო ერთგულო და უსაყვარლესო მეგობარო ძალიან გაუსაძლისი აღმოჩნდა ჩემთვის უშენობა, დღემდე არ გამნელებია შენი დაკარგვით გამოწვეული განცდა.

ჩემო მეგობარო, ჩემო მზია, სულ მახსოვხარ, დღე არ გავა ისე, რომ არ გაგიხსენო, ძალიან მაკლიხარ, მენატრები...

ჩემო მეგობარო, პირველ ნოემბერს შენს დაბადების დღეს წელსაც უშენოდ აღვნიშნავთ. ჩემი ოჯახი პატივს მიაგებს შენს ნათელ ხსოვნას, ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

ლიანა ნოზაძე.

ᲛᲐᲛᲝᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲗ!

მუნიციპალიტეტის ფერეიდანზე არსებულ ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას ვაძლევთ შესაძლებლობას გაზეთის საშუალებით ფართო მკითხველს გააცნოს საკუთარი სკოლის ისტორია და აწმყო, 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური სკოლის მილწევები, გაზეთის ფურცლების მეშვეობით საჯარო გახადოთ თქვენი ჰრობლემები, დასახოთ სკოლის საკურველი საამოვანო გეგმები, ყველას გაცნოთ ლვაწლმოსილი, ახალგაზრდა თუ ახალბედა ჰედაგოგები, გვიამბეთ სად და როგორ სწავლობთ, რითი ამყობთ, რა გსურთ,.. გაიცანით თანხრილოელებს თქვენი ყურადმთავრებული მეცენაფლები, რომლებიც ერვლეწყებენ ალმა-მაფერს. ცხოვრების საუკეთესო და უმშვენიერეს წლებს ვაფარებთ სკოლაში და გვინდა, რომ იქ გაფარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმაფებული, დაუვიწყარი.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საპაკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76